

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N006/15¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ნათია მაჭარაშვილი (სტუდენტი)

1. შეკითხვა

როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი, მედიაციის სესიაზე მას და მის კლიენტს აყენებს შურაცხყოფას შემდეგი ფრაზებით: „შე ტუტუცო, უზრდელო, მატყუარა, უპასუხისმგებლო, შენნაირისთვის დაილუპა ჩემი ქმარი აფხაზეთში? შენნაირისთვის გავზარდე შვილი?“ „თქვენ აძლევთ არაკვალიფიციურ რჩევებს და ამიტომ იქცევა ასე, თქვენ შეგყავთ მხარე შეცდომაში, თქვენ არ იცნობთ ბავშვთა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას, გირჩევთ წაიკითხოთ.“ ასევე, გამოხატავს მუქარას შემდეგი ფრაზებით: „მე ვიცი შენ რას გიზამ, აქედან რომ გავალთ, შე ტუტუცო, უზრდელო.“ რა მექანიზმები არსებობს მის შესაჩერებლად და ეკისრება თუ არა ასეთი ქმედებისათვის ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა და თუ ეკისრება, რა სახის?

2. სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ ზემოთ აღნიშნული შეკითხვის განხილვისას იხელმძღვანელა შემდეგი ნორმებით: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7(გ); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მუხლი 7; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მუხლის 10.1; ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 4.3, 4.5 და დაადგინა:

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ეთიკის კომისიამ რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნა, რომ კოლეგიალობის პრინციპი გულისხმობს კოლეგების მიმართ პატივისცემას, პროფესიული ღირსების დაცვას და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებას. გამონათქვამები: „შე ტუტუცო“, „უზრდელო“, „შენნაირისთვის დაილუპა ჩემი ქმარი აფხაზეთში“, „შენნაირისათვის გავზარდე შვილი“, სავარაუდოდ, არ წარმოადგენს და სცილდება პროფესიული საქმიანობის არსსა და დანიშნულებას. შესაბამისად, ადვოკატის ეს მოქმედება არ არის საადვოკატო საქმიანობა, ანუ ადვოკატი ამ მომენტში არ წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს და არ ასრულებს საკუთარ პროფესიულ მოვალეობას. შეკითხვაში მითითებული სიტყვები გამოხატავენ კონკრეტული პიროვნების მახასიათებელს, რაც მიმართულია ადამიანის დისკრედიტაციისაკენ, რაც არ შედის ამ ფრაზების გამომხატველი ადვოკატის კლიენტის ინტერესებში – სიტყვიერად შეურაცხყოფის მისი მოწინააღმდეგე მხარე. მოცემული სიტყვების გამომხატველი ადვოკატი შესაძლოა ზიანს აყენებდეს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობას, კლიენტის ინტერესებს და არ შეესაბამებოდა საკითხის განმხილველი სასამართლოს მსგავს ორგანოში არსებულ წესებს და, პირიქით, ხელს უშლიდეს იურიდიულ პროცედურას. „მე ვიცი შენ რას გიზავ აქედან რომ გავალთ“ – აღნიშნული სავარაუდოდ იყო მიმართული ადვოკატის კლიენტისადმი. ეს სიტყვები შეიცავს სამომავლო სავარაუდო ნეგატიური მოქმედების, ზეწოლის ან სხვა სახის მოქმედების განხორციელების შინაარსს, რაც შეიძლება აღიქმებოდეს მუქარად. აღნიშნული შესაძლოა არა მხოლოდ მორალურად იყოს მიუღებელი, არამედ კანონდარღვევით ხასიათსაც ატარებდეს, რამაც შეიძლება ერთი ორად გაზარდოს ადვოკატის პროფესიული ქცევის ნეგატიურად შეფასების ხარისხი. ადვოკატის საქმიანობაში ჩარევის მცდელობა სიტყობრივად და ხმამაღალი, ყვირილით შეფასება: „თქვენ აძლევთ არაკვალიფიციურ რჩევებს და იმიტომ იქცევა ასე“. აღნიშნული შესაძლოა მეტყველებდეს ადვოკატის მიერ საკუთარი პროფესიული

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fb7755c515.pdf/04%20September%202015%20006.15.pdf>

არსის და იურიდიული მოქმედებების გაუზრებლობაში, რამეთუ ის მოწინააღმდეგე მხარეა, რაც ინტერესების, პოზიციურ დაპირისპირებას გულისხმობს. ასევე იკვეთება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის მცდელობა, რადგან ის გულისხმობს ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის პროფესიული ღირსების პატივისცემას.

3.დასკვნა

ადვოკატს შეუძლია მოუწოდოს სავარაუდო დამრღვევს პროფესიული კორექტულობისა და სიტყვის თავისუფლების ზღვარის გადალახვის შეჩერების თაობაზე, მოუწოდოს ადვოკატის მისიის ანუ პროფესიული დანიშნულების შეხსენებისაკენ, განხილვის რეგულაციის ფარგლებში. ასევე, ადვოკატს აქვს უფლება საჩივრით მიმართოს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს საჩივრის ადრესატი ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.